სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N261417745
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	06.10.2026 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნათია აფციაური
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, შოთა რუსთაველის გამზ. №22, სართული III
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	577006688
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	28340488045326

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, **ბესარიონ გოჩალეიშვილი** (დაბ. საქართველო, თბილისში 17.05.1992 წელს, პირადი # 01024049623, პირადობის მოწმობის სერია #23IA33897, გაცემული 20.10.2023 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ, ფაქტობრივი/რეგისტრირებული მისამართი: თბილისი ირაკლი აბაშიძის ქ. N 24 ბ. 6ა), როგორც უძრავი ქონების, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქუჩა კანდელაკი, N 37 (ს/კ 01.10.12.042.033) თანამესაკუთრე

ვაცხადებ თანხმობას, შპს „ეიჯი თრეიდინგი"-მ (ს/ნ 404525199) ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე განახორციელოს სარეკონსტრუქციო სამუშაოები საკუთარი შეხედულებით, მათ შორის მოაწყოს სარდაფში ჩასასვლელი ღიობი კიბით, წარმოდგენილი ნახაზის (ესკიზის) მიხედვით.

აღნიშნული თანხმობა გამოხატავს ჩემს ნებას, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით:

ბესარიონ გოჩალეიშვილი

ორი ათას ოცდაექვსი წლის ექვს ოქტომბერს, მე, ნოტარიუსს ნათია აფციაურს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, შოთა რუსთაველის გამზ. №22, სართული III, მომმართა: ბატონმა **ბესარიონ გოჩალეიშვილმა**, რომელმაც განაცხადა, რომ სურს თანხმობის შედგენა და მასზე ხელმოწერის ნოტარიული წესით დამოწმება.

მე, დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ბატონმა **ბესარიონ გოჩალეიშვილმა** (დაბ. საქართველო, თბილისში 17.05.1992 წელს, პირადი # 01024049623, პირადობის მოწმობის სერია #23IA33897, გაცემული 20.10.2023 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ, ფაქტობრივი/რეგისტრირებული მისამართი: თბილისი ირაკლი აბაშიძის ქ. N 24 ბ. 6ა) მომმართა. მე, დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს, ასევე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში.

ხელმომწერ პირს განვუმარტე, რომ არ ვამოწმებ მის (ხელმომწერი პირის) უფლებამოსილებას, არ ვადასტურებ წარმოდგენილ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ ვაგებ მათზე. მხოლოდ ვამოწმებ თანხმობაზე მისი ხელმოწერის ნამდვილობას.

წინამდებარე თანხმობის ტექსტი მისი თხოვნითა და სიტყვებით შევადგინე მე, რომელიც წაიკითხა მან, მოიწონა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი ზემოაღნიშნული თანხმობის 2 (ორი) ეგზემპლარს, თითოეულს 1 (ერთი) გვერდად. სულ დამოწმებულია 2 (ორი) ხელმოწერა.

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად - 12.00 (თორმეტი) ლარი; 31-ე მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად - 10.00 (ათი) ლარი; 39-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად - 5.00 (ხუთი) ლარი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად დღგ - 3.96 (სამი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი) ლარი. სულ 30.96 (ოცდაათი ლარი და ოთხმოცდათექვსმეტი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი:

ნათია აფციაური